



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

8.02.2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ავთანდილ

გვარი : თავხელიძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	მასალათმცოდნეობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი Master of Materials Science
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებთ ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	ინჟინერია და საინჟინრო საქმე, 0719. არაკლასიფიცირებული
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 10, 0171, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული № 632907 25 ივნისი 2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	11 ივნისი 2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	13 დეკემბერი 2021
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12 ივნისი 2028

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის სათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაციები⁶

1 რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

2 რეკომენდირებულია მასალათა გამძლეობის თემები თავმოყრილ იქნას ერთ რომელიმე სასწავლო კურსში.

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



3 რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო პრაქტიკა შეიცვალოს საწარმოო პრაქტიკით, შესაბამისად შემუშავდეს საწარმოო პრაქტიკის რელევანტური სასწავლო კურსი, სწავლის შედეგების გაწერით და საკონტაქტო საათების გაზრდით.

4 .მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობაში გათვალისწინებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება.

5 რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

6 რეკომენდირებულია შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

რეკომენდაციები ძირითადად კარგად არის შესრულებული. ზოგი რეკომენდაცია შესრულების პროცესშია, რადგან პროცესი დიდ დროს მოითხოვს. რეკომენდაციების შესასრულებლად გამოყენებული მეთოდები შესასრულებელი ამოცანების ადეკვატურია. დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით. საერთო ჯამში, დადებითად ვაფასებ საანგარიშო პერიოდში მიღებულ შედეგებს.-----

რჩევ(ებ)ი⁸

- 1.სასურველია მკაფიოდ გაიწეროს შეფასების სისტემა გადაწყვეტილების მიღებისათვის უცხო ენაში გასაუბრებისას.
2. რეკომენდირებულია სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსი.
3. სასურველია გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი.
4. სასურველია სასწავლო კურსის “დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). სილაბუსებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე მეტი ყურადღება დაეთმოს დარგთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას

⁷საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



5. ზოგიერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვადაგასულია და საჭიროებს ვადის გაგრძელებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 1	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია: მე-7 სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით: „იყენებს - საკონსტრუქციო მასალების მაკრო და მიკროსტრუქტურის რაოდენობრივი ანალიზის მონაცემებს ბაზარზე მოთხოვნადი, პრაქტიკული

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით



	ხასიათის სამუშაოების -მაგისტრალური მილსადენთა -შედულების განხორციელებაში“ მე-9 სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით: „ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად - აფასებს ტექნოლოგიისა და რეჟიმების გავლენას დანაფარის ხარისხზე; მალეგირებელი და მამოდიფიცირებელი ელემენტების გავლენას შენადნობის კრისტალიზაციის პროცესზე; ქიმიური შედგენილობისა და დამუშავების გავლენას ლითონისა თუ ლითონური შენადნობის ბზარმდეგობაზე“:
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ დანართი 1

სტანდარტის დასახელება	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა 1	სასურველია მკაფიოდ გაიწეროს შეფასების სისტემა გადაწყვეტილების მიღებისათვის უცხო ენაში გასაუბრებისას
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია: პროგრამის დაშვების წინაპირობაში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმად მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს გამოცდა უცხო ენაში. უცხო ენაში გამოცდის შეფასების სისტემა გაწერილია.
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“. უცხოურ ენაში გამოცდის შეფასების წესი. სტუ-ს ტესტირების ცენტრის ვებ-გვერდი: https://testing.gtu.ge/ დანართი 1

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,
-----------------------	---



	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა 2	რეკომენდირებულია სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსი.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია: სპროგრამაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სასწავლო კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი „კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია“;
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ სასწავლო კურსის „კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია“ პროგრამა (სილაბუსი) (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა 3	გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია: არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი განისაზღვრა სამი კურსით, ნაცვლად ორისა. დაემატა სასწავლო კურსი „მილსაგლინი დგანების ძირითადი კვანძების ანგარიში“.
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 2	რეკომენდირებულია მასალათა გამძლეობის თემები



	თავმოყრილ იქნას ერთ რომელიმე სასწავლო კურსში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია: სასწავლო კურსმა „პლასტიკურობის თეორია“ განიცადა მოდიფიცირება“. მასში, გაერთიანდა მასალათა გამძლეობის თემები.
რჩევა 4	სასურველია სასწავლო კურსის “დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). სილაბუსებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე მეტი ყურადღება დაეთმოს დარგთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია: დაწყებულია მუსაობა შესაბამისი დეპარტამენტის (უცხოური ენების) წევრებთან. საკითხი გადაწყდება და სილაბუსში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსის „პლასტიკურობის თეორია“ პროგრამა (სილაბუსი) (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია 3	რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო პრაქტიკა შეიცვალოს საწარმოო პრაქტიკით, შესაბამისად შემუშავდეს საწარმოო პრაქტიკის რელევანტური სასწავლო კურსი, სწავლის შედეგების გაწერით და საკონტაქტო საათების გაზრდით
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია: სასწავლო კურსმა „სასწავლო პრაქტიკა მასალათმცოდნეობაში“ განიცადა მოდიფიცირება და მისი დასახელება განისაზღვრა „საწარმოო პრაქტიკა მასალათმცოდნეობაში მაგისტრანტებისათვის“ და მისი მოცულობა განისაზღვრა 10 კრედიტის ოდენობით. გაფართოვდა პრაქტიკის ბაზა ფ.თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სახით. პროგრამის ინიცირებით ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი „სს აეროსტრუქ-



	ტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა მასალათმცოდნეობაში მაგისტრანტებისათვის“ პროგრამა (სილბუსი) საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია 4	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობაში გათვალისწინებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია: პროგრამის აღწერილობით ნაწილს დაემატა ჩანაწერი: „სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების აუცილებელი პირობაა სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება. https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php “
რჩევა ¹⁴ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 მატერიალური რესურსი

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია II ¹⁵	
შეფასება	
რჩევა 5	ზოგიერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვადაგასულია და საჭიროებს ვადის გაგრძელებას.
შეფასება	<p>რჩევა გათვალისწინებულია:</p> <p>დღევანდელი დღისათვის ვადა ამოწურული აქვთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. The Polinecnico di Milano 2015 - 2020 2. The University of Rome "TOR VERGATA" 1.02.2016 - 1.02. 2019 3. Technical University of Ostrava. 14.01. 2016 - 14.01. 2021 4. Yeditepe University (Turk) 10.10.2014 - 10.10. 2017 <p>მოყვანილი მემორანდუმებიდან პირველს და მესამეს განაცხადის წარდგენის მომენტისთვის (დეკემბერი 2020 წ.) არ ჰქონდა ვადა ამოწურული.</p> <p>ინფორმაცია მიწოდებულ იქნა უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურისთვის. საკითხი განხილვის ეტაპზეა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	გასასწორებელი მემორანდუმები

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია 5	რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
შეფასება	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია</p> <p>ბიუჯეტი ჩამატებულია ხარჯებთან დაკავშირებული დეტალები. დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები, დამატებითაც გამოიყოფა აღნიშნული პროგრამისთვის, ამიტომ ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ¹⁶ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ია	საგანმანათლებლო პროგრამის „მასალათმცოდნეობა“ ბიუჯეტი

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია 6	რეკომენდირებულია შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია: პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე მონიტორინგის საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით) პედაგოგს. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ია	-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება- http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php ; -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ“ https://gtu.ge/quality/Files/Pdf/brzaneba12.pdf □□საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/ კითხვარები. დანართი 2

თანდართული დოკუმენტაცია¹⁸

1. დანართი 1:

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“-----	10 გვ.;
სასწავლო კურსის „პლასტიკურობის თეორია“ პროგრამა (სილაბუსი)-----	8 გვ.
სასწავლო კურსის „კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია“ პროგრამა (სილაბუსი)-----	8 გვ.
სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა მასალათმცოდნეობაში მაგისტრანტებისათვის“ პროგრამა (სილაბუსი)-----	10 გვ.
სამაგისტრო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები-----	3 გვ.
2. დანართი 2:	
კითხვარი 1-აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი-----	10 გვ.
კითხვარი 2-აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა-----	29 გვ.
კითხვარი 3-სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და შესაბამისი პედაგოგის შეფასება-----	9 გვ.
3. დანართი 3:	
დეპარტამენტის სხდომის ოქმი-----	4 გვ
პროგრამის ბიუჯეტი-----	1 გვ.
პრაქტიკის ხელშეკრულება-----	5 გვ.
მემორანდუმი -----	2 გვ.

ექსპერტის ხელმოწერა